კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 226 (18468) პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საფუძველს უყრიან მომავალ მოსავალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონთა უნივერსიტეტი

ღღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. მილიონობით მშრომელი — კომუნისტი თუ უპარტიო შეუდგება პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის მწვერვალების დალაშქვრას. ჭეშმარიტად დიდია მილიონთა ამ უნივერსიტეტის მნიშვნელობა. პირველყოვლისა, ეს ნიშნავს — განვაგრძოთ მუდმივად განვითარებადი ინტერნაციონალური მოძღვრების — მარქსიზმ-ლენინიზმის ათვისება და ამავე დროს უზრუნველვყოთ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის ღრმა შესწავლა კომუნისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით.

ყოველი ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალ-ახალი თავისებურებებით აღინიშნება.

ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი ცხოვრების დინამიზმი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მრავალფეროვანი და ცხოველმყოფელი გავლენა ცხოვრებაზე, უკომპრომისო ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ — ყველაფერი ეს უდიდეს მოთხოვნებს უყენებს პარტიულ სწავლებას. ამის გამო წინა პლანზე დგება ამოცანა, რომ მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება ითვალისწინებდეს მოცემული ეტაპის თავისებურებებს და საესებით უპასუხებდეს დროისა და ეპოქის მიერ წამოჭრილ მოთხოვნებს.

გასულმა სასწავლო წელმა, როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის, ასევე რესპუბლიკის მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის განუხრელი ზრდის ნიშნით ჩაიარა. ამავე დროს ეს იყო ჩვენი მკლავმოულელელი ადამიანების მარქსისტულ-ლენინური წრთობის თვალსაჩინო ეტაპიც. რესპუბლიკის კომუნისტები და უპარტიო მშრომელი მასები, პრაქტიკულად ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში წამოყენებულ დებულებებსა და მითითებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ჩვენი ყოველდღიურობის ეპიერ წამოჭრილი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ამოცანებისა და მინიჭების შესახებ, ხოლო პროპაგანდისტთა დიდი ჯგუფი დაჯილდოდგდა სპეციალური სიგელებითა და სამაგიდო მედლებით.

როგორ ვლაპარაკობთ პარტიული სწავლების ეფექტიანობაზე, ცოდნის მრწამსად გადაქცევის სიკეთეზე, იმაზე, თუ რა სამანი, სასარგებლო შედეგებს იძლევა მსმენელთა და პროპაგანდისტთა უშუალო კონტაქტები და ურთიერთდამოკიდებულება, გვიდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მათ შორის ორმოცდაშვიდი ათასს მეტი რაციონალიზატორი და გამომგონებელია, ხოლო ასორმოცდაათი ათასს მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელი. მათი რაციონალიზატორული წინადადებებით შარშან საქართველოს ასთოთხმეტ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი მიიღო. მეტად შთამბეჭდავი ციფრებია!

ახალი სასწავლო წელი პარტიული სწავლების სისტემაში იმედს ვამყარებ, რომ ეს იქნება მსმენელთა და პროპაგანდისტთა აქტიურობის წელი, რათა პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნა გადაქციონთ მოქმედების სახელმძღვანელოდ, დაეუფლონთ ხელოვნებას — ეფექტო კომუნიზმი.

ცნ

საიუბილეო ვახშმე

ამბროლაური. (საკ. კორ.). „სამტრესტის“ ამბროლაურის ღვინის ქარხნის (დირექტორი — ე. ბაკურაძე) კოლექტივი თავდადებით იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის დირსიული დამთავრებისათვის. საწარმომ წარმატებით შეასრულა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის რეგ თვის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3401 ათასისა გამოუშვა 3549 ათასი მანეთის ღვინის ნაწარმი. ზარდის ტემპმა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 27 პროცენტი შეადგინა.

შიდასაქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია შრომითი კოლექტივის ყველა წევრი. საუკეთესოთა შორის არიან ქარხნის ნოვატორი მუშები გ. მაისაშვილი, ზ. გიორგობიანი, გ. გაგოშიძე, ი. სულაძე, ლ. მაისაშვილი, შ. ქურაღაკიძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ.

ვალდებულება შეასწორეს

ახლა ყველას თვალი და ყური ქარს მოძღვარი რთველისადმი მიპყრობილი, ქარხანაში ყოველ ღონეს სმარობენ იმისათვის, რომ ახალ სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ და უნარჩენოდ გადამუშაონ მოწეული ყურძენი.

დადგნენ რა სსრ კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 წლისთვის აღსანიშნავ ვახტზე, მეღვინეებმა ფონდ-დაწონეს არსებული რეზერვები და წინათ ნაკისრ ვალდებულებაში, რომელიც წლის მანძილზე 122 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა, შესწორება შეტანეს. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ვალდებულების დამატებით გამოუშვან 28 ათასი მანეთის პროდუქცია, ამასთან დაზოგონ 5 ტონა საწვავი და 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ვ. ცირეკიძე.

რთველი-82

დავაჩქაროთ ყურძნის კრეფის ტემპი!

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის“ 1982 წლის 30 სექტემბრის ცნობა (ტონობით)

რაიონები	მოკრეფილია	შეკრეფილის პროცენტი
გურჯაანის	50.911	19,6
ხიდისადის	36.291	20,1
ყვარლის	34.166	18,2
წითელწყაროს	24.510	18,2
თელავის	12.644	17,6
ლაგოდეხის	7.119	19
საგარეჯოს	6.487	17,9
ახმეტის	700	16
სულ კახეთის რაიონებში	172.828	18,9
მარნეულის	8.853	16,8
ბოლნისის	2.754	16,1
გარდabანის	2.411	15,4
ზესტაფონის	283	15,8
თერჯოლის	188	16,6
ლანჩხუთის	16	14,1
სულ საქართველოში	187.333	18,6

აღმოსავლეთ საქართველოში რთველის საუკეთესო დრო იწურება, კახეთის რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გადაჭრით უნდა დააჩქარონ ყურძნის კრეფის ტემპი.

ავიატორები მინდვრად

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კასრისწყლის განყოფილებაში წელს საშემოდგომო თივთივიანი კულტურები 2050 ჰექტარზე დაითესება. აქედან ქერი 1.400 ჰექტარს დაიკავებს, ხორბალი — 500 ჰექტარს, ფერმების მახლობლად ცხვრის სახალახოდ კი ქერი — 150 ჰექტარს.

აქაურ მემინდვრეებს თესვის წინ ნაკვეთში შეიქვთ მინერალური სასუქები — სუპერფოსფატი და აზოტიანი სასუქები. მინერალური სასუქების შეტანის საქმეში მემინდვრეებს ეხმარებიან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავები რ. მალხასიანი და გ. ვეიანშვილი, რომლებიც თვითმფრინავით ყოველდღიურად 800 ჰექტარზე ანოყიერებენ მიწას. მათ დღისასთვის 2.600 ჰექტარზე შეიტანეს ფოსფორიანი სასუქი. ახლა აზოტიანი სასუქი შეაქვთ.

ხუთასთან ერთად: მეორე მფრინავი ვიგი გვეიანშვილი, განყოფილების მმართველი კ. ჯიჯურიძე, თვითმფრინავის მეთაური რ. მალხასიანი და მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ბოლოკიძე; მიმდინარეობს თვითმფრინავის მინერალური სასუქებით დატვირთვა.

ვ. გელეიშვილი ფოტო.

მთელი ძალებით

ცხალაანი. წლევანდელი ჭირვეული ამინდის გამო შექმნილი სიძნელეთა დაძლევაში აქტიურად მონაწილეობენ რაიონის უძველესი სასწავლებლის — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალგაზრდები. 150 მოწაფეკი ჩაეს პლანტაციაში ტრიალებს, 60 მეკონსერვეებს ეხმარება, 50 კი მეცხოველეთა თანაშემწეა. შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან ნ. ხარებავა, ლ. ბაკურაძე, ვ. გვასალია, თ. ჩოჩუა, დ. ხუციშვილი და სხვები.

ბ. ჭილეუტინი.

დიდი გამარჯვება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა, რომლებიც ფართოდ ეპაღალეს სსრ კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს, მათ ადრე ადრე შეასრულეს სამრეწველო-ფინანსური გეგმა.

ინვარ-სექტემბრის გეგმა ვადამდე შეასრულეს და ეარგა ხანაც ოქტომბრის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას ბრესლის ხალ-კინკოოვანი ღვინის ქარხნის, სამრეწველო საწარმოსა და ფაირ-ტაბაკელის კაკაცის შრომითი კოლექტივები.

აჭარელ მეხილეთა წარმატება

ბათუმი. აჭარის მეხილეებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ადრე შრომითი გეგმა შეასრულეს. ბაღებიდან 17.435 ტონა ხილი, რითაც 235 ტონით გადაჭარბეს წლიურ ჯავალებას, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაზოგდა და სახელმწიფოს მიეცა 12.355 ტონით მეტი ხილი. ხილის დაზოგდა გრძელდება. (საქინფორმი).

საპატიო ხუთკუთხედით

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის კოლექტივი დღეს სეროულად უშვებს 12 სახეობის ფაიფურის ნაწარმს — სუფრის თეფშებს, ყავის სერვიზებს, ჩაიდონეს, ჭიქებს დეტალებს...

ამ დღეებში აქ მოსკოვიდან სასინახულო ცნობა მოვიდა, სახელმწიფო სტანდარტების საატესტაციო კომისიამ ზუგდიდური ფაიფურის ნაწარმს — ჩაიდან „თამარს“ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიანიჭა. მეფაიფურეებმა ამით დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ მოწინავე პოზიციებზე გასვლა. სულ მალე ისინი კიდევ ორი სახეობის პროდუქციის წაროდგენენ სახელმწიფო სტანდარტების კომისიის.

მეფაიფურეებმა ასეთი მაღალი შეფასების პასუხად გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმის წინა დღეებში წლიური გეგმის შესრულება ვადამდე უსატყოფნ ააშენ ბლოს.

ლ. ბარქაია.

„საწყობი-82“ გამოფენის წარმატება

თბილისი. გახსნილი საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „საწყობი-82“ საქართველოს დედაქალაქის სპეციალისტებისა და საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს. გამოფენაზე ეკრანის ბევრი ქვეყნის 49 ფირმასა და საგარეო სავაჭრო ორგანიზაციას წარმოდგენილი აქვს შეფუთვისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალება და სატრანსპორტო სამუშაოთა მექანიზაციის მანქანები და მოწყობილობები.

29 სექტემბერს გამოფენას ეწვივნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ექსპოზიციას, აღნიშნა ამგვარ ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოთა ურთიერთსაყოფილი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების საქმეში.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ფინეთის პავილიონის მონაწილეებს მიულოცა ფინეთის ეროვნული დღე, რომელიც საერთაშორისო გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კოსელაძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. ფაროშიძე, გამოფენის კომერციული ცენტრის დირექტორი ვ. ა. კრილოვა. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი შეჯიბრების შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1982 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით: №№ 3, 13, 14 ტრესტი, № 1 მექანიზაციის ტრესტი, რუსთავის სახლთაშენებელი კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „შენდიტკაო“, „შენტრანსსაო“ ტრესტი;

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით: № 4 ტრესტი, № 9 ტრესტის № 7 სპეციალური მოძრავი მექანიზებული კოლონა, ცხაკაიას და წითელწყაროს ხიდის სამშენებლო რაზმები, „საქკოლმშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების სამრეწველო საწარმოთა სამმართველო;

საქართველოს სსრ საბჭო მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით: საწარმოო გაერთიანება „საქრომადნეული“, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, თბილისის კერამიკული კომბინატი, სამთო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამეშაოთა სამმართველო, „საქმონტაჟსპეცრემშენის“ ტრესტი, ჩხარის ფიცრის ქარხანა, ეცლარის კარიერთა სამმართველო, სადახლოს მარმარილოს მაღაროთა სამმართველო;

საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ხაზით: „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტი, „თბილისმშენის“ სამმართველო, მექანიზაციის სამმართველო, გარდაბნის სამონტაჟო ნამზადის ქარხანა, „მონტაჟთერმონაწყობის“ სამმართველო.

სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით: „ავეკასელექტროქსელმშენის“ ტრესტი; № 39 ხიდის სამშენებლო რაზმი;

საპროექტო ინსტიტუტების ხაზით: საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, თბილისის ზონალური ელექტრომექანიკური დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „მეიმბერეფელ-ელექტროპროექტი“, „ჰიდროპროექტის“ საკავშირო ინსტიტუტის თბილისის განყოფილება, საქსახპროექტი.

ამასთან აღინიშნა, რომ ობიექტების ამოქმედებისთვის არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს:

მშენებლობის სამინისტროს ხაზით: № 7, 9 ტრესტებმა, ბზიფის ელექტრომექანიკურმა სახლთაშენებელმა კომბინატმა; სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით; № 1, 2, 7, 12 ტრესტებმა; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით: გარდაბნის მოყვაო-რუბარიოდის ქარხანამ, ორჯონიკიძის მარმარილოს მაღაროთა სამმართველომ. (საქინფორმი).

შედეგებს ხუთწლედი შეაჯამებს

რაც უფრო მკაცრ გამოცდას უწყობს მეფინანსეს სტაჟი, მით უფრო მტკიცეა მისი გადაწყვეტილება დაძლიოს სიძნელეები, მით უფრო ენერგიულია, დაძაბულია შრომა, მით უფრო მოდელია ორგანიზებულობა და დისციპლინა. და მით უფრო სავიმედო უნდა გახდეს მეევნანის გამრჯე და მზრუნველი მარჯვენისადი დახმარების ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობის ყველა დონეზე ეწევიან.

რესპუბლიკის პარტიის რაიკომების პირველი მდივნების თათბირის, რომელზეც ეს აზრი გამოითქვა, ზონალური ეწოდა. მასზე წარმოდგენილი ზონა ეკ პრაქტიკულად საქართველოს მეევნანეობისა და მეღვინეობის მთელი დარგი, რადგან მოსავლის უდიდეს ნაწილს იწვევენ და ამუშავებენ ამ რაიონებში, და სწორედ ამ რაიონებს დაატყდა თავს გასულ ზაფხულს ყველაზე გამანადგურებელი სტიქია. ირნახეთ სტეპვან, ზაფხულის თვეების გვალვამ 220 ათასი ტონა ყურძენი დაგვაკარგვინა.

ქართულ-კახეთის მეევნახეობის რაიონები სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად გაჰიდებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ზონად გადაიქცა. რესპუბლიკის ეკონომიკაში მის მნიშვნელობას, მისადმი ყურადღებას მოწმობს ის, რომ თათბირში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელმაც შეაჯამა ზონის ურთიერთი პრობლემების საქმიანი განხილვის შედეგები. თათბირზე გამოვიდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

პარტიის გურჯაანის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, მცხეთის, ბოლნისის და მარნეულის რაიკომების პირველი მდივნების ოპერატიული ცნობებიდან ჩამოყალიბდა შემდეგი სურათი: თითქმის ყველგან მძიმე მდგომარეობაა. იქ, სადაც მეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების ხელმძღვანელებისა და მუშაკების პირად ღირსებებს დაემატა ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებანი, სადაც მეევნახის ვაჟკაცობას, ენერგიას, ყირიათანრნას მხარი დაუჭირეს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, იქ მინიმუმამდე შემცირდა სიძნელეები. ზოგიერთ რაიონში შემოგზავნილია არსებული ძალებისა და საშუალებების რაციონალური გამოყენების ოპტიმალური სქემები. მაგალითად, საგარეჯოელებმა, რომლებმაც წამოიწყეს საყოველთაო სახალხო მოძრაობა ვაზისა და მოსავლის გადარჩენისათვის, ტრანსპორტის მუშაკებთან ერთად შეადგინეს მუშაობის ცალკეული გრაფიკი, უზრუნველყვეს მანქანების კონცენტრაცია იმ უბნებზე, სადაც გარკვეულ დღეს და საათს მიმდინარეობს მოსავლის მასობრივი კრეფა.

პრობლემისადმი ასეთი მიდგომა ზონის ყველა რაიონს ნოდი ახასიათებს. ყველგან დამაკმაყოფილებელი როდი მოსავლის კრეფის ტემპი.

უამინდობამ ზარალი მიაყენა ყველა დასახელებულ რაიონს. მაგრამ რთველის მიმდინარეობის შესახებ ცნობები მოწმობს, რომ ყველგან თანაბარი პასუხისმგებლობით არ მოპკიდებიან ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის დაგარჩენისა და ბეღლ. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსავლისათვის ბრძოლა ყველა რაიონში ჯერჯერობა არ იყო მობილებული და ორგანიზებული. და ეს მოუხედავად იმისა, რომ მეევნახეებს მაქსიმალური დახმარება გაუწიეს ტექნიკითა და სხვა საშუალებებით, მობილიზებულია ავტოტრანსპორტი.

რესპუბლიკის მეევნახეებს მოსავლის კრეფაში ეხმარება ათასობით სტუდენტი და მოსწავლე, რომლებიც გამოეხმაურნენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მოწოდებას განაგრძონ მესამე შრომითი სემესტრი.

მთელ რიგ რაიონებსა და მეურნეობებში დაივიწყეს ადგილობრივი რეზერვები და შესაძლებლობანი და მხოლოდ გარეშე დახმარების იმედად არიან. ზოგიერთ რაიონში ვერ მოგაგვარეს არსებული ტრანსპორტის მუშაობა, მკაცრი კონტროლი არ დაწესეს მის გამოყენებას, მხოლოდ გვალვინმა აგვიტოქმა მიაპყრო ცალკეული მეურნეობების ხელმძღვანელთა ყურადღება იმაზე, რომ სარწყავი არხების ქსელი ვერ დაეკმაყოფილებდა რწყვაზე ბაზრდილ მოსთხოვნილებას.

ზუსტად დაიპროგრამონ მეცადინეობა, წინასწარ გაითვალისწინონ სიძნელეები, საბრძოლოდ გამზადებული შეხვდნენ მათ — ასეთია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების უპირველესი მოვალეობა. ბუნების წყალობის იმედი კი არ უნდა გვქონდეს, არამედ უნდა ვითვალისწინებდეთ შესაძლო სტიქიურ უბედურებას, ეემზადებოდეთ მოსავლისათვის, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით მოვიგებრეთ იგი — ასეთი ამოცანა დასახა თათბირმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ყურძნის კრეფის ტემპის დაჩქარება, ყურძნისთ რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა.

თითქმის ყოველ რაიონში უკანასკნელ ხანს ახალი ენერგია გაჩენდა. უნდა მივაღწიოთ, რომ მათ უკვე მიმდინარე ხუთწლედში მოგვცეს პროდუქცია. ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ დაგძლიოთ ხუთწლიანი გეგმის მაღალი მოჯნები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის კრეფისათვის მზადებისას დაშვებულ ნაკლოვანებათა საგულდაგულო ანალიზს. უაღრესად გულმოდგინედ უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ დღევანდელი შეცდომები და ხარვეზები, რათა მომავალში აღარ გავიმეოროთ ისინი. მიმდინარე წლის მწარე გამოცდილებამ და გაკვეთილმა უნდა აღგვიძრას სუფრავილი უკეთ ვიზრუნოთ მომავალი მოსავლისათვის. (საქინფორმი).

ბრიგადა

კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი შეჯიბრების შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1982 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით: №№ 3, 13, 14 ტრესტი, № 1 მექანიზაციის ტრესტი, რუსთავის სახლთაშენებელი კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „შენდიტკაო“, „შენტრანსსაო“ ტრესტი;

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით: № 4 ტრესტი, № 9 ტრესტის № 7 სპეციალური მოძრავი მექანიზებული კოლონა, ცხაკაიას და წითელწყაროს ხიდის სამშენებლო რაზმები, „საქკოლმშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების სამრეწველო საწარმოთა სამმართველო;

საქართველოს სსრ საბჭო მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით: საწარმოო გაერთიანება „საქრომადნეული“, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, თბილისის კერამიკული კომბინატი, სამთო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამეშაოთა სამმართველო, „საქმონტაჟსპეცრემშენის“ ტრესტი, ჩხარის ფიცრის ქარხანა, ეცლარის კარიერთა სამმართველო, სადახლოს მარმარილოს მაღაროთა სამმართველო;

საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ხაზით: „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტი, „თბილისმშენის“ სამმართველო, მექანიზაციის სამმართველო, გარდაბნის სამონტაჟო ნამზადის ქარხანა, „მონტაჟთერმონაწყობის“ სამმართველო.

სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით: „ავეკასელექტროქსელმშენის“ ტრესტი; № 39 ხიდის სამშენებლო რაზმი;

საპროექტო ინსტიტუტების ხაზით: საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, თბილისის ზონალური ელექტრომექანიკური დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „მეიმბერეფელ-ელექტროპროექტი“, „ჰიდროპროექტის“ საკავშირო ინსტიტუტის თბილისის განყოფილება, საქსახპროექტი.

ამასთან აღინიშნა, რომ ობიექტების ამოქმედებისთვის არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს:

მშენებლობის სამინისტროს ხაზით: № 7, 9 ტრესტებმა, ბზიფის ელექტრომექანიკურმა სახლთაშენებელმა კომბინატმა; სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით; № 1, 2, 7, 12 ტრესტებმა; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით: გარდაბნის მოყვაო-რუბარიოდის ქარხანამ, ორჯონიკიძის მარმარილოს მაღაროთა სამმართველომ. (საქინფორმი).

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო საბჭოთა ხალხის სახელით ჩინეთის მშრომელებს ულოცავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 33 წლისთავს.

ჩინეთში რევოლუციის გამარჯვება ჩინელი ხალხის ისტორიული მონაპოვარი, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ღირშესანიშნაო მოვლენა იყო. ნამდვილი ეროვნული განთავისუფლებისათვის, ახალი საზოგადოების აშენებისათვის თავისი ხანგრძლივი ბრძოლის მანძილზე ჩინეთის შრომელებს შუდამ გულწრფელი სიმპათიით ეკიდებოდა, მხარს უჭერდა და ეხმარებოდა საბჭოთა კავშირი.

სსრ კავშირი თანამიმდევრულად იღებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის გაფართოებისაკენ და შშვიდობიანი თანაარსებობის და კეთილმეზობლობის პრინციპების საფუძველზე მისი განვითარებისათვის, რაც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, აზიისა და მთელი მსოფლიოს შშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

გულწრფელად ვეუფრვებთ ჩინელ ხალხს წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, თავისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სკოლა

საქართველოს დედაქალაქში მიმდინარეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა თემაზე „80-ის“ ნიმანი წლებიდ: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თბილისში გამართულ საიუბილეო დღესასწაულზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების მიხედვით“. იგი მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და პარტიის თბილისის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა ტ. ვ. როსტოაშვილმა.

კითხვას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

ცოდნა რომ იქცეს მრწამსად

მეცადინეობებს — შემოქმედებითი ხასიათი

დღეს, 1 ოქტომბერს იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. იმაზე, თუ როგორ შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს ქალაქის პარტიული ორგანიზაციები, ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს **აბესალომ იმედაშვილს.**

— მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წელი პირველი იყო სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ. როგორ აისახა ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიულ განათლებაზე, რა სიახლე დაინერგა პროპაგანდისტულ მუშაობაში?

როგორც ცნობილია სკკპ XXVI ყრილობამ დააყენა იდეოლოგიური მუშაობის ბევრი სფეროსა და უბნის, მათ შორის მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის გარდაქმნის ამოცანა. მას შემდეგ განვლილმა დრომ ნათლად დაგვანახვა, რომ პარტიის მიერ აღებული მტკიცე კურსი მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის არა მოჩვენებითს, არამედ რეალურ გარდაქმნას, ე. ი.

ტივების ყოველდღიურ საფიქრალსა და საზრუნავთან პარტიული განათლების სისტემის შინაარსის მჭიდროდ დაკავშირებას.

— როგორია პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში გასული წლის შედეგები?

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული პარტიული და ეკონომიკური განათლების სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის გარდამქმნელი ღონისძიებები. გასული სასწავლო წლის შედეგების ღრმა და ყოველმხრივმა ანალიზმა, კომუნისტებთან საუბრებმა დაგვარწმუნეს მსმენელები ახალი სასწავლო პროგრამების უპირატესობაში. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ დღის წესრიგში კვლავ რჩება პარტიული განათლების სისტემის შინაარსის, მისი წარმართვის ფორმების და მეთოდების თვისებრივი გარდაქმნა.

— პარტიული სწავლების ქმედითობის ამაღლებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მსმენელებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფამ. მათგან,

...

სა და აგიტაციის კომპლექსურობას, მისი მეცნიერული და იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, პროპაგანდის ცენტრში კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხების წამოწევას მის დატვირთვას სერიოზული, ანალიზური ხასიათის მასალებით და, რაც მთავარია, ცხოვრებასთან შრომითი კოლექ-

...

რტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების ფართო მონაწილეობა მარქსისტულ-ლენინური სწავლების და ეკონომიკური განათლების სისტემაში.

დედაქალაქის ხელმძღვანელმა მუშაკებმა გაიგეს, რომ სხვადასხვა დარგში მოპოვებული წარმატებები მშრომელი ადამიანის მაღალი შეგნების, მისი პოლი-

...

მთავარი კრიტერიუმია მაღალი შედეგიანობა

ცხოვრების რიტმის დაჩქარება, პრობლემების სირთულე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, კომუნისტური მშენებლობის გადამწყვეტი ამოცანების მასშტაბურობა, ფართო მასების ინფორმირების მკვეთრად გაზრდილი დონე წინა პლანზე აყენებს იდეოლოგიური ზემოქმედების გაძლიერების, პროპაგანდის, მისი ისეთი რგოლის ქმედითობის ამაღლების აუცილებლობას, როგორიც მშრომელთა პარტიული სწავლება და ეკონომიკური განათლებაა.

ეს კიდევ ერთხელ აღინიშნა იდე-

რი პოლიტიკის აქტუალურ საკითხთა პროპაგანდისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად.

არ არსებობს იმაზე უფრო კეთილშობილური და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების პარტიის სიტყვის გავრცელება. ამ მისიას ასრულებს ქალაქის ასობით პროპაგანდისტი, რომელთა შორის ბევრი „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის" საპატიო წოდებას ატარებს. კრებაზე გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა როლს ასრულებს და რა გავლენას ახ-

...

კარგად მოემზადნენ პოლიტიკური განათლების სისტემაში პირველი მეცადინეობისათვის თბილისის საწარმოთა კოლექტივები.

სურათებზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მეცადინეობის დაწყების წინ ერთხელ კიდევ შეიკრიბნენ ტექნიკური განყოფილების უფროსი ა. სვანიძე, სამღებრო წარმოების გამომყვანი ნ. ხუციშვილი, საქსოვი წარმოების უფროსი ზ. ქიტიაშვილი, მოსამზადებელი ცვლის ოსტატი ა. მეგრელიშვილი, საქსოვი წარმოების პარტბიუროს მდივანი ნ. მაღრაძე და საქსოვი საამქროს უფროსი დ. ქვარცხავა.

თბილისის პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ღლონტი მეცადინეობის დაწყების წინ ესაუბრება მოწინავე პროპაგანდისტებს.

თ. ნიკოლაიშვილისა და ვ. გენგიურის ფოტო.

მრავალმხრივი პროპაგანდისტი

ერედვის საბჭოთა მეურნეობის პროპაგანდისტს ოთარ ქრისტესიაშვილს არა მარტო თავის სოფელში, არამედ მთელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იცნობენ. 20 წელზე მეტია, რაც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა კომუნისტი პედაგოგი და

დვრისა და სხვა კულტურების მოსავალსაც. ბრიგადის წევრებს სრული იმედი აქვთ, რომ შაქრის

ო. ქრისტესიაშვილმა კარგად იცის, რომ სკოლაში მთავარ ფიგურას პროპაგანდისტი წარმო-

წლიანი სკოლის მასწავლებელი ოთარ ქრისტესიაშვილი. ამიტომაც უყვართ იგი მსმენელებს, სოფლის მცხოვრებლებს.

...

ბი და სხვ. შედეგიც მნიშვნელოვანია: ბრიგადამ თითოეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 24 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 37 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მიიღო. ორმაგად შესრულდა ნივრის მოყვანის გეგმა, კარგი პირი უჩანს პამი-

დოს გეგმის გადამეტებით ტონობით ხორბალი ჩაბარდა, 190 პროცენტით შესრულდა ნივრის მოყვანის გეგმა, კარგი პირი უჩანს 100 ჰექტარზე მეტ ფართობზე დათესილ შაქრის ჭარხლის პლანტაციას და სხვა კულტურებს.

ლარულად ესაუბრები აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიმდინარე და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საერთაშორისო ამბებზე. ყველა მსმენელს ვუნერგავ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს.

სწორად მსჯელობს ენერგიული პროპაგანდისტი, ერედვის რვა-

ლი ეკონომიკის სკოლაში უკეთესად წარმართოს მუშაობა, დღენიადაგ იზრუნოს კომუნისტების, უპარტიო აქტივისტების თეორიული სწავლების საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ს. ცოტნიაშვილი.

ცხოვრების სკოლამ არ იცის არდადეგები

წლეულს მაისში ერთ-ერთ ბოლო მეცადინეობაზე პროპაგანდისტი, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების № 2 სართავი წარმოების უფროსი ნოდარ ჯანეზაშვილი მსმენელებს რეზერვების ძიებისა და ნედლეულის ყაირათიანი ხარჯვის საკითხებზე ესაუბრებოდა.

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებამ უკანასკნელ წლებში სწორედ რეზერვების მაქსი-

ეკონომიკის შემსწავლელი სკოლის მსმენელები დიახაც ჩააფიქრა ამ საკითხმა. ვ. მშვიდობაძე კი, როგორც ეს მაძიებელ ადამიანებს სჩვევიათ, მარტოოდენ ფაქტების გადმოცემას როდი დასჯერდა: წინადადება წამოაყენა შექმნათ აგრეგატი, რომელიც მეორეული და არასტანდარტული ნედლეულის გადამუშავებას უზრუნველყოფდა.

— მაგრამ ახლა ხომ პარტიუ-

საუკუნის მეოთხედია ყოველ პირველ ოქტომბერს პროპაგანდისტის ჟურნალით შედის დარბაზში, სადაც მსმენელები ელოდებიან. იწყება სწავლა, შემეცნების და აღზრდის სამაგალითო გაკვეთილები, სადაც თითოეულის ცოდნა, პრაქტიკულ, გნებავთ, ცხოვრებისეულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული... თუმცა ჯობს ისევ იმ მეცადინეობას მივუბრუნდეთ.

დიახ, ცხოვრების სკოლამ არ იცის არდადეგები. მაის-ივლისში ეკონომიკის შემსწავლელი სკოლის მსმენელებმა მ. ჭილაძემ, ვ. მშვიდობაძემ და სხვებმა პროპაგანდისტ ნ. ჯანეზაშვილთან ერთად დაძაბულად იშრომეს. ბამბის მკვებავ, ღერძულა და დახრილ გამასუფთავებელ მანქანებზე დაამონტაჟეს აგრეგატი, რომელსაც

მა მსმენელებმა გამოსავალი გამონახეს: სარდაფი ამოიღეს და საამქროს ქვეშ 32 ფილტრი და ვენტილატორი ჩაამონტაჟეს.

შედეგი კი ის გახლდათ, რომ ბამბის ხვეულა ფენის ხარისხი ორჯერ და მეტად გაუმჯობესდა.

— დღეს, — განაგრძობს პროპაგანდისტი, — პარტიული და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი იწყება. მთელი ჩვენი ოჯახი სავსებით მზად არის. მეუღლე და და, პროპაგანდისტები არიან, ვაჟიც, რომელმაც პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, წელს პირველად შეხვდება თავის მსმენელებს.

ნოდარ ჯანეზაშვილისათვის კი წლევანდელი სასწავლო წელი რიგით ოცდამეხუთე იქნება. ოცდამეხუთე შეხვედრა იდეოლოგი-

...

ვ. გაჩეჩილაძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ისტორიკოსთა საპატიო მისია

ბორჯომი, (საქინფორმის სპეც. კორ.). ისტორიას არ ახსოვს სახელმწიფო, რომელსაც ესოდენ მოკლე დროში ამდენი გაეკეთებინოს ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ისეთი არნახული წარმატებებისათვის მიეღწიოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, როგორსაც ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ მიაღწია. ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, ყველა მისი სოციალური ცვლილებისა და გარდაქმნის ღირსეული ასახვა გახდა ლაიტმოტივი საქართველოს მეცნიერ ისტორიკოსთა IV შეხვედრისა, რომელიც ბორჯომში გაიხსნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით სამი წლის წინათ პირველად მოწყობილმა შეხვედრამ დასაბამი მისცა ყოველწლიური კრებების ტრადიციას. შეხვედრათა მთავარი მიზანია ისტორიკოსთა ძალების კონსოლიდაცია პარტიის საპროგრამო მითითებათა შესრულებისათვის, ისტორიის მეცნიერების ყველაზე აქტუალური მიმართულებებით კვლევის კოორდინაცია.

პირველმა შეხვედრამ ხელი შეუწყო ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ ისტორიკოსთა, აგრეთვე ქვე-

მოწერის 200 წლისთავს. ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ნაშრომების ჩამოთვლაც კი მოწმობს, რომ რესპუბლიკის თითოეულ ისტორიკოსს თავის მოვალეობად მიაჩნია ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მიღწევებისა და სოციალისტური გარდაქმნების სიმართლით აღსავსე მატიანეში.

მოხსენებები, რომლებიც წაიკითხეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ჯ. ოდიშელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ძიძარიამ, პროფესორებმა დ. ხახუტაიშვილმა, გ. ტეხოვმა, დოცენტმა ნ. ასათიანმა და სხვებმა, შეიცავენ იმ მეცნიერული კვლევის ღრმა ანალიზს, რომელიც განხორციელდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის და ცხინვალის ინსტიტუტებში განვლილი ერთი წლის მანძილზე. მათში განსაზღვრულია ისტორიკოსთა ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

შინაარსიანი იყო ორატორთა ანგარიშები რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების ისტორიის

...

მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა. — მალე ჩვენ ვიდღესასწაულებთ ღირსშესანიშნავ მოვლენებს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავსა და გეორგიევსკის ტრაქტატის ხელ-

მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. საყვარელიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. ბუტბა.

ვაჭრობის ორგანიზაციას — მთავარი ყურადღება

ბაზებში საქონელი არის, გეგმა კი არ სრულდება

ბოლო წლებში გაფართოვდა და განმტკიცდა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნა ათობით ახალი ობიექტი, დაინერგა ვაჭრობის პროგრესული ფორმები და მეთოდები, გაუმჯობესდა კადრების შემადგენლობა. მიუხედავად ასეთი დადებითი ძვრებისა, ამ სფეროს ბევრი მუშაკი, მათ შორის ზოგიერთი ხელმძღვანელიც ვერ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს, ხშირად საფრთხის წინაშეც კი აყენებენ

ლაფერი როდი კეთდება მუშაობის კულტურისა და ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, სტაბილური კადრების მოსამზადებლად, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იშვიათი როდია ფაქტები, როცა შემთხვევითი ადამიანები დანაშაულებრივად იყენებენ მდგომარეობას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ აჭარკოოპკავშირი, რომლის სისტემაში ბოლო წლებში იყო სახელმწიფო ქონების დიდი დატაცება, სავაჭრო ობიექტების მიერ გეგმების შეუსრუ-

...

როცა ნეპტუნი ჯავრობს

ადამიანი და ბუნება

თბილი და ალერსიანი შავი ზღვა... ვინ არ იცის, რა მშვენიერ განცდებს იწვევს მისი ცქერა! აქ ჩამოდის ხალხი, რათა ძალ-ღონე მოიკრიბოს და ჯანმრთელობა გაიკაჟოს, დაისვენოს, ბუნებას აქ საოცარი მიკროკლიმატი შეუქმნია. აქ გხიბლავს ყველაფერი — ლანდშაფტური ხარტყელებიც, ლურჯი ცაც და კაშკაშა მზეც. ზღვა კი ისე გეფერება, როგორც მოყვარული დედა; მას ხომ სტუმართმოყვარეს უწოდებენ. მარტო გასულ სეზონში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ექვს მილიონზე მეტი სტუმარი იყო, მაგრამ „ალერსიანი" ზღვა ზოგჯერ განრისხდება ხოლმე. ნეპტუნი ხშირად ჯავრობს — თანაც, როგორ!

დაუვიწყარია 1969 წლის 9 იანვარი ბიჭვინთაში. დილით მზე კაშკაშებდა, ნიავიც კი არ ქროდა, თბილოდა, ზოგი გამოსათხოვრად ბანაობდა კიდეც ზღვაში, ენანებოდა მოლივლივე ლურჯი ტალღების, მოელვარე პლაჟის დათმობა. და უეცრად...

ზღვა ყალყზე შედგა და ჰორიზონტი დაფარა. ზვირთები ღრიალით ეკვეთნენ ნაპირს, კედლად აღიმართებოდნენ და თითქოს უფსკრულში სურდათ ჩაეთრიათ პლაჟი. მძლავრი ნიაღვარი ამსხვრევდა ტალღასარიდ ჯებირს, სანაპიროზე და ფიჭვნარში იჭრებოდა. ზვირთები ეკვეთა ულამაზეს 15-სართულიან დასასვენებელ სახლებს. განსაკუთრებული საფ...

... შეიჭრნენ ნეპტუნის საუფლოში; მათ ტალღასარიდი ჯებირი ამართეს და პლაჟის ნაწილი განაშენიანებისათვის გამოიყენეს. ამით ტალღებს პლაჟზე თავისუფალი „გასეირნებისა" და უზარმაზარი ენერგიის მხოლოდ ნატანის გადაადგილებაზე დახარჯვის საშუალება მოუსპეს. ახალ პირობებში ეს ენერგია აქ აგებული შენობის დანგრევას ხმარდებოდა. რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ფორმირებას და განვითარებას თავისი სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს. ნაპირებისა და პლაჟების სტაბილურობა მთლიანად მდინარეების ნარიყი ქვიშისა და ხრეშის მოცულობაზეა დამოკიდებული, აგრეთვე ნაპირის გასწვრივ ტალღე...

... შეიქმნა. მიზეზი? იგი ძირითადად დაკავშირებულია მდინარეებზე კაშხალების, მოლოების, ტალღაშთანმთქმელ ნაგებობათა მშენებლობასთან, რათა დაიცვან სანაპიროს ცალკეული მონაკვეთები და გამოიყენონ მშენებლობისათვის მდინარისა და სანაპიროს ნატანები, ცხადია, ზღვა ცდილობს აღიდგინოს თავისი ძველი საზღვრები, იგი „ჭამს" ნაპირს, ცხადია, მიუხედავად იმისა, ვენახები იქნება გაშენებული ამ ტერიტორიაზე თუ კურორტები.

როგორ შევუშალოთ ხელი? კვლავ განვაგრძოთ ბეტონის ჯებირების მშენებლობა? ისინი ვერ აღკვეთენ წარეცხვის მიზეზებს: რაც უფრო „კაპიტალურად" გავამაგრებთ წყალზედა ნაპირს, ...

... რისთვის? რისთვის და ბუნებრივი რეჟიმის დარღვევისათვის. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ამ ამბის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჯეროვნად არ გაითვალისწინეს ბუნების განვითარების კანონზომიერებანი. თავის დროზე ხომ მშენებლები მოუკრძალებლად ...

... ტორიის დიდი ნაწილი — ახალი გაგრა, ბიჭვინთა, სოხუმი, ბათუმი, ფოთი და სხვები — პლაჟის დანალექებისაგან არის შექმნილი. ჭარბი ნატანის დროს ხმელეთი უტევდა ზღვას. ამ ბოლო დროს სურათი შეიცვალა. სანაპირო ზონაში ასეთი ნატანის დეფიციტი ...

... ბორა. ასე დაინგრა სამი რიგი კედელი გაგრაში, ოჩამჩირეში, ქობულეთში, სანატორიუმ „უკრაინის" ნაგებობანი. სასწაულით გადარჩა „ენერგეტიკოსის" დასასვენებელი სახლის ახალი მაღლივი შენობა. მის წინ დღემდე ყრია ბეტონის ნამსხვრევების ...

... დით ზღვასა და სანაპიროს მოჩის ვიწრო ქვიშის ზოლს: იმას, რაც დარჩა ოდესღაც განთქმული პლაჟისგან. მას ავიწროებს ზღვა. ღონობენ რამეს თუ არა? დიახ. ამას ხმარდება მილიონობით მანეთი. პლაჟი სავსეა ბეტონის მრავალკუთხედებით, დაგლე...

... დაცვითი ორგანო, რომელიც მეცნიერებასა და წარმოებას აერთიანებს. სამუშაოთა მთელი ციკლი სანაპიროს დინამიკის პროცესების კვლევით მოყოლებული და ბუნების შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლით დამთავრებული— ...

... ლში და ვხედავდით, თვალსა და ხელს შუა როგორ „მაგრდებოდა" საძირკველგამორეცხილი შენობა, როგორ სწრაფად ფართოვდებოდა აქ პლაჟი. მისი „კვება" გაუმჯობესდა მოზიდული ხრეშის ხარჯზე. სხვათა შორის, მშენებ...

... აქ ლამაზი ლანდშაფტია და დასანანია, უბრალოდ გულსატკენია თუნდაც ერთი ხის მოჭრა. მაშ, როგორ უნდა აშენდეს ჯანმრთელობის კერები: წყალში! და ეს შენობები ნაპირს დაუკავშირდეს საჰაერო გზით. ფანტაზიაა? დიახ, ...

... ბის დაცვის, აღდგენისა და გონივრული გამოყენების საქმეში.

გ. ლებანიძე,
მ. სტეპიჩევი,
(„პრავდის" სპეც. კორ.).
„პრავდა", 1982 წ. 29-IX.

საიმედო დასაყრდენი

სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვა 50 წლისაა

4 ოქტომბერს სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვას ნახევარი საუკუნე უსრულდება. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ ი. ხარიტონაშვილს. გთავაზობთ ამ საუბრის ტექსტს:

ჩვენს დროში საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განუხრელი აღმავლობა და მისი სრულყოფა წარმოუდგენელია მოსახლეობის ანუ ზურგის ყოველმხრივი მომზადების გარეშე. 50 წლის მანძილზე საბჭოთა სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების კოლექტივებმა შემოქმედებითი მუშაობის სახელოვანი გზა განვლეს და დიდი გამოცდილება შეიძინეს. ამ წარმატებას ისინი უმადლიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავენ ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

სამოქალაქო თავდაცვის დაბადების დღედ აღიარებულია 1932 წლის 4 ოქტომბერი. ადრე იგი ადგილობრივ საჰაერო თავდაცვად იყო ცნობილი. დიდი სამამულო ომის დღეებში სამოქალაქო თავდა...

... ეთმოს იმ ამოცანების უთუო შესრულებას, რომლებიც დარგის მუშაკებს პარტიამ დააკისრა, შემდეგ სიფხიზლის დაცვას, თავდაცვის ტექნიკის დაუფლებას და, ბოლოს, დისციპლინას. უპირველესად საჭიროა მოსახლეობის დაცვაზე ზრუნვა. მომდევნო ეტაპად უნდა მივიჩნიოთ გამბედაობა, სიმტკიცის გაძლიერება და ბოლოს მტრის მიერ ჩადენილი დანაშაულის ლიკვიდაცია. ეს ამოცანები ყველგან სანიმუშოდ რომ იყოს გადაწყვეტილი, ამისათვის საჭიროა სრულყოფილი მუშაობა ადგილებზე, საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო თავდაცვაში.

ალბათ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება იცოდეს, ამ საიუბილეო დღეებში ჩვენი რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის მუშაკები რით ხვდებიან დიდ დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ისევე როგორც ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას, ჩვენც გარკვეული ვალდებულებები გვაქვს ნაკისრი ამ თარიღის აღსანიშნავად. გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, მიმდინარეობს ნაკისრ ...

... ლებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

მაინც როგორია სამოქალაქო თავდაცვის ძირითადი პრინციპები და ამოცანები თანამედროვე ვითარებაში? რა თქმა უნდა, აქ არსებითი ყურადღება უნდა და-...

... ხუთწლედის დავალებათა გასანაღდებლად სამოქალაქო თავდაცვითი საქმიანობაში. ეს მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენი რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

იუბილეს აღსანიშნავად

სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში.

საზეიმო სხდომა გახსნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

დიდი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ი. ხარიტონაშვილმა.

რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის მუშაკებს მიესალმნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის წარმო-...

... საზეიმო სხდომის მონაწილეებს უჩვენეს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მარადისობის კანონი" ლენინური პრემიის ლაურეატის ნ. დუმბაძის რომანის მიხედვით.

(საქინფორმი).

საერთაშორისო დღევანდელი ცხოვრება ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

— 30 სექტემბერი —

დაიწყო კულტურის დღეები

სოფია. აქ სსრ კავშირის ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტით დაიწყო საბჭოთა კულტურის დღეები ბულგარეთში, რომლებიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 65 წლისთავს და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. კონცერტს დაესწრნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ც. დრაგოიჩევა, აგრეთვე საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პ. ნ. დემიჩევის მეთაურობით.

ტრადიციად ქცეულ საბჭოთა კულტურის დღეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ...

... სიკური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, მოკავშირე რესპუბლიკების შემსრულებლებმა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 28 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში გაიმართება 62 კონცერტი და სპექტაკლი, მოეწყობა გამოფენები.

კეთილშობილური მიზნები

საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაცია, დაძაბულობის შენელება, ბრძოლა მშვიდობისა და განიარაღებისათვის — ასეთია ის კეთილშობილური მიზნები, რომლებსაც ეყრდნობა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობა. ამ აზრს ხაზგასმით აღნიშნავენ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და კვლავ განმარტავენ ბაქოში გამართულ დღესასწაულზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.

ახლა, ისეთ პირობებში, როცა იმპერიალისტური წრეები ცდილობენ მსოფლიო გადაჩეხონ ბირთვული კატასტროფის უფსკრულში, საბჭოთა ხელმძღვანელმა კვლავ მტკიცედ აღნიშნა, რომ საარსებოდ აუცილებელია განიარაღებისა და ურთიერთნდობის პოლიტიკის განხორციელება, აღნიშნავს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ".

კაცობრიობის წინაშე მდგომი აქტუალური საკითხების რეალისტურ პასუხს უწოდებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ბრატისლავის „პრავდა". საბჭოთა ხელმძღვანელის ბაქოში წარმოთქმულ ...

... ინდოეთის ყოველკვირეული „ნიუ-უეივი". ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი სსრ კავშირში ახალი ეტაპი გახდა ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობაში. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნად მშვიდობის საქმისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„საბჭოთა ხელმძღვანელის გამონათქვამები ბაქოში კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ...

... ქვეყნების ერთობის ავტორიტეტი და გავლენა, გამოიყენოს იგი დასავლეთის სახელმწიფოთა კოლონიზატორული ამბიციათა ინტერესებისათვის, წერს „ჟორნალ დი ანგოლა". სსრ კავშირის ხელმძღვანელმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი არის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის, ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების, ისეთი ორგანიზაციების პრესტიჟისა და ეფექტიანობის დამკვიდრების აქტიური მომხრე, როგორიცაა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაცია, არაბული ქვეყნების ლიგა და სხვა.

ლ. ი. ბრეჟნევის ბაქოში წარმოთქმული სიტყვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირს მიაჩნია უპირველესი მნიშვნელობის მიზნად, რომლის მიღწევასაც იგი ესწრაფვის თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე, განაცხადა ფინეთის ...

... სიტყვაში მოცემულია არა მარტო საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი, არამედ განსაზღვრულია რეალური დაძაბულობის შენელების მიღწევის კონკრეტული გზები.

ინდოეთს ახარებს ის მაღალი შეფასება, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა ი. განდისთან მოლაპარაკების შედეგებს, წერს ...

... ახალი ომის თავიდან აცილება", — წერს ლიბანის „ას-საფირი".

ლ. ი. ბრეჟნევმა ამხილა იმპერიალიზმის მანევრები, რომელიც ცდილობს ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის მეშვეობით გაალრმაოს განხეთქილება არაბული ქვეყნების, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა რიგებში, შეასუსტოს აფრიკის ...

... პარლამენტის დეპუტატმა ხეპო ტოო ვიაინენმა. საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე არის ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის ავანგარდში. ამ ბრძოლაში მისი მოკავშირეები არიან ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა, მთელი მსოფლიოს ხალხთა მრავალმილიონიანი მასები.

დღევანდელი უნგრეთი თანამედროვე მრეწველობისა და მეცნიერების, მოწინავე სოფლის მეურნეობის ახალი სოციალისტური საზოგადოების ადამიანების ქვეყანაა.

სურათზე: ბუდაპეშტის სატრაქტორო ქარხანა „წითელი ვარსკვლავიდან" შემკვეთებს უგზავნიან მზა პროდუქციას.

მტი-საქდესის ფოტო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. პლანეტის პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების, გამალებული შეიარაღების შეკავებისა და მწვავე საერთაშორისო კონფლიქტების სამართლიანი გადაწყვეტის პრობლემებს ეძღვნება ზოგადპოლიტიკური დისკუსია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVII სესიაზე მიმდინარეობს. სოციალისტური და მიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორუმის ტრიბუნიდან ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციულ ნაბიჯებს მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების, გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღების გზაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა აღნიშნა, რომ საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს მილიტარიზმისა და ომის ძალებს. ახლანდელი საერთაშორისო ვითარება, თქვა მან, დიდად შემაშფოთებელია, ვინაიდან მთელი ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში არასოდეს შექმნია მშვიდობას ისეთი საფრთხე, როგორც დღეს. ძალის პოზიციისა და გამალებული შეიარაღების დაჩქარების პოლიტიკა, რომელსაც ნატოს ბლოკი ახორციელებს, აღნიშნა მან, ამწვავებს საერთაშორისო კონფლიქტებს და ...

... ისახავენ მიზნად და განიარაღებისა და მშვიდობის განმტკიცების გზას კვალავენ.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ. პუიამ ხაზი გაუსვა, რომ ბოლო წლებში ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის ზრდას ხელი შეუწყო ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა ნატოს გადაწყვეტილება ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგების თაობაზე, ამერიკის შეერთებული შტატების უარი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ხელმოწერაზე, დასავლეთის დაუშვებელი ჩარევა პოლონეთის ამბებში.

საერთაშორისო დაძაბულობისათვის იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატების პასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი სირიის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ხ. ხადამმა. ახლო აღმოსავლეთში შექმნილი საშიში ვითარება, განაცხადა მან, — შედეგია ისრაელის აგრესიისა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ფართო პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას ეყრდნობა. უთანამედროვესი ამერიკული იარაღით აღჭურვილ ისრაელ აგრესორებს ლიბანელი, პალესტინელი და სხვა არაბი ხალხებისათვის სიკვდილი და ნგრევა მოაქვთ. ორატორმა ეჭვქვეშ დააყენა ისრაელის უფლება, დარჩეს ერების მსოფლიო გაერთიანების წევრად.

ბამის ახალი შევსება

გულთბილად გააცილა საქართველომ თავისი წარგზავნილები ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე. 29 სექტემბერს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაზმი გაფრინდა კრასნოიარსკში ახალი დაბის — იკაბიის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა მომავალ ბამელებს და რაზმის ხელმძღვანელს.

გოჩა დოლიძე, რუსთავის № 142 ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, სანტექნიკოსი:

— საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაში.

ენით გამოუთქმელია, თუ როგორ ვღელავთ ახლა ჩვენ, ახალგაზრდა მუშები, რომლებსაც წილად გვხვდა პატივი წარმოვადგინოთ საქართველოს კომკავშირი საუკუნის უმნიშვნელოვანეს მშენებლობაზე. კარგად გვაქვს შეგნებული, თუ რა პასუხისმგებლობას ვკისრულობთ. ზოგჯერ ხომ არ გვყოფნის პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული ცოდნა და უნარი, ის, რასაც ვერ ისწავლი აუდიტორიებსა და სახელოსნოებში, რასაც მხოლოდ სამშენებლო მოედანზე შეიძლება დაეუფლო.

გიორგი ხუციშვილი, ელექტროშემდუღებელი: — მამაჩემი შემდუღებელი იყო და მეც შემაყვარა ეს საქმე. ვხედავდი, თუ რა ოსტატურად მუშაობდა მამაჩემი, მინდოდა თვითონაც მესინჯა საკუთარი თავი ამ მუშურ პროფესიაში. და როცა მამას ვუთხარი, რომ ვაპირებ განვაგრძო მისი საქმე და უკვე შევიტანე საბუთები ტექნიკურ სასწავლებელში, ძალიან გაუხარდა. ახლაც, როცა შეიტყო, რომ რამდენიმე კურსდამთავრებულს შორის ბამზე მგზავნიან, პირველმა მომილოცა და გზა დამილოცა: „აბა, შენ იცი, შვილო, არ შეარცხვინო ჩვენი ოჯახი. ყოველთვის ღირსეულად შეასრულე დავალებული საქმეო".

ალი ყაჩა-ოღლი, ხურო, თბილისის № 18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული:

— რა თქმა უნდა, სიძნელეები გვექნება, მაგრამ მათ არ უნდა შევუშინდეთ. ჩვენ ყველანი — ხუროები, მლებავები, კალატოზები, ელექტროშემდუღებლები, სანტექნიკოსები ერთიანი კოლექტივი ვართ, რომელიც ჩამოყალიბდა საწარმოო პრაქტიკაზე, ჩვენი პირველი შრომითი გამოცდა რომ იყო. პრაქტიკას გავდიოდით ქუთაისის ერთ-ერთი ქარხნის მშენებლობაზე. სწორედ მან დაადასტურა, რომ პროფესიულად გამოვდგებით. მაგრამ მანვე ცხადყო ისიც, რომ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ.

ვლადიმერ სოლომონის ძე დვალიშვილი, სპეციალიზებული სამონტაჟო-სამშენებლო მატარებლის „საქბამმშენის" წარმომადგენელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:

— მეც ვმონაწილეობდი ბამზე გასაგზავნი კანდიდატების შერჩევაში. და უკვე ახლა გულდაჯერებით შემიძლია ვთქვა: ბიჭები არ დაგვალალატებენ. ყველა მათგანმა სასწავლებელი კარგი და ჩინებული მაჩვენებლებით დაამთავრა. ისინი ახალგაზრდები, ენერგიით აღსავსენი არიან, წინ აქვთ ცხოვრება, რომელსაც იწყებენ იმით, რომ განაგრძობენ იმათ გმირობას, ვისაც პირველს მოუწია ჩაბმულიყო ტაიგისა და სიცივის, უამინდობისა და უგზოობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნიაში მათ უკვე ელიან საერთო საცხოვრებლის თბილი მყუდრო ოთახები, კლუბი, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა და, რაც მთავარია, სტუმართმოყვარე მასპინძლები — ქართველი მშენებლები. ორი თვის შემდეგ, როცა გამოცდას გაივლის თითქმის უკვე დამთავრებულ ნიის სადგურში, ახალგაზრდობა სხვა ბამელებთან ერთად გაემგზავრება მოწინავე ხაზზე, ახალი დაბის იკაბიის მშენებლობაზე. (საქინფორმი).

მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი. ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჟ. ხავიმ ლიბანის პატრიოტულ ძალებს მოუწოდა შეამჭიდროვონ რიგები და გააძლიერონ ბრძოლა ისრაელი ოკუპანტების წინააღმდეგ, რათა ტელ-ავივის მთელი ინტერვენციონისტური ძალები უსიტყვოდ გაიყვანონ ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან.

აქ გავრცელებულ განცხადებაში იგი აღნიშნავს, რომ „ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს ნათლად აქვთ შეგნებული შეთქმულების ის საშიშროება, რომლის ქსელსაც აბამენ ლიბანის გარშემო ისრაელი და მისი ამერიკელი მფარველები". მხოლოდ ტელ-ავივის აგრესიული გეგმებისადმი მტკიცე წინააღმდეგობას, ჩვენი მიწა-წყლიდან ოკუპანტების განდევნისათვის ბრძოლას, ხაზგასმით აღნიშნავს ჟ. ხავი, შეუძლია მოგვიტანოს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

აღვირახსნილი თვითნებობა და უხეში ძალმომრეობა ისრაელის საოკუპაციო ჯარის ქცევის ნორმა გახდა, იგი ცდილობს დააშინოს სამოქალაქო მოსახლეობა, ლიბანელ და პალესტინელ პატრიოტებს წინააღმდეგობა შეაწყვეტინოს ინტერვენტებისადმი. ანსარის განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც საშინელ პირობებში ჰყავთ შვიდი ათასზე მეტი ლიბანელი და პალესტინელი პატრიოტი, რომლებიც ისრაელის აგრესიის დროს დააპატიმრეს, მოხდა პატიმართა აჯანყება. ბანაკის დაცვამ საყარაულო კოშკურებიდან ტყვია დაუშინა ამ გამოსვლის მონაწილეებს, რის დროსაც ათზე მეტი კაცი დაიჭრა.

არ წყდება ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაბი მოსახლეობის მასობრივი გამოსვლები. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე უკვე ზედიზედ რამდენიმე დღეა გრძელდება დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოთქვამენ დასავლეთ ბეირუთში მდებარე პალესტინელთა ბანაკების მცხოვრებათა წინააღმდეგ ისრაელი მხედრიონის ავაზაკური დანაშაულის გამო.

პენტაგონი კოსმოსში გადის

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაციამ დაგეგმა უახლოეს ხუთ წელიწადში ყოველწლიურად სამხედრო-კოსმოსური პროგრამებისათვის 10 პროცენტით და მეტად გაზარდოს ასიგნებანი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სამხედრო ხარჯების ზრდის საერთო ტემპს, განაცხადა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრის მოადგილემ ე. ოლდრიჯმა. როგორც მან თქვა, 1988 წლისათვის კოსმოსური შეიარაღების შესაქმნელად ხარჯები მიაღწევს წელიწადში დაახლოებით 14 მილიარდ დოლარს. უწინარეს ყოვლისა, პენტაგონი აპირებს მთლიანად ხელთ იგდოს „შატლის" სერიის კოსმოსური ხომალდების ფრენის პროგრამა, რომ...

... ერებისა და თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღით აღჭურვისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალური პირნი იტყობინებიან მნიშვნელოვან პროგრესს ...

... ლოვანი როლი უნდა შეასრულონ რეიგანის ადმინისტრაციის სტრატეგიულ ზრახვებში, რომელთა მიზანია ხანგრძლივი ბირთვული ომის წარმოება". გაზეთი წერს, რომ 4 ივლისს კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის" ...

1 ოქტომბერი მუსიკის საერთაშორისო დღეა

ენა, რომელიც უთარგმნელადაც გასაგებია

მშვიდობისა და მეგობრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა ჩვენს დღეებში მუსიკალური ხელოვნება. მისი ენა, რომელიც არ საჭიროებს თარგმნას, ინტერნაციონალურია. მუსიკას, რომელიც მოქმედებს ადამიანების გრძნობებსა და გონებაზე, ძალუძს მათ დიდი გმირობა ჩაადენინოს.

მუსიკის საერთაშორისო დღედ 1 ოქტომბრის გამოცხადებით იუნესკო მიზნად ისახავდა ხელოვნების ამ სახეობის ფართო პროპაგანდას, მის სიმდიდრესთან მსმენელთა მრავალმილიონიანი აუდიტორიის ზიარებას, პლანეტის პროგრესულ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაციას.

წლეულს ის დღესასწაული დაემთხვა ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდა კომპოზიტორთა კამერული მუსიკის ფესტივალს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

16 ოქტომბრიდან თბილისი კვლავ მუსიკალური დედაქალაქი გახდება: აქ გაიხსნება ხელოვნების ფესტივალი „საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიები". ჩვენს ქალაქში თავს მოიყრიან აზერბაიჯანელი და სომეხი კომპოზიტორები და შემსრულებლები, მათი ქართველი კოლეგები. ამ დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს უკრაინის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

19 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიხსნება საქართველოს სიმფონიური ორკესტრის ახალი სეზონი. თბილისელი მელომანები ამ დღეს შეხვდებიან საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს ე. ანჯაფარიძესა და საქართველოს სახალხო არტისტს, ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს ჯ. კახიძეს. (საქინფორმი).

ფოტოობიექტივი მოგვითხრობს

„ერთიან ოჯახში"

— ასე ეწოდება სსრ კავშირის შექმნის 60-წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფერადი ფოტოსურათების გამოფენას.

250 დიდფორმატიანი ფერადი ფოტოსურათი, რომლებიც შეადგინენ ვერნისაჟს რუსთაველის პროსპექტზე, დამთვალიერებლებს იზიდავს საინტერესო ნაამბობით საქართველოზე, რომლის მშრომელები სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკასთან ძმური კავშირით ეგებებიან საბჭოეთის სახელოვან იუბილეს.

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები — საქართველოს მშენებელთა რაზმი ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე; „თეთრი ქარავანი" საქართველოს სამხედრო გზაზე.

მ. დათიკაშვილისა და ბ. იუხანოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 4 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 17.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მახოვის ბრიგადის ავტოგრაფი". 18.00 — განცხადებები. 18.05 — გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს. 18.40 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „სახეები". 19.30 — „მოამბე". 20.00 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „ძმურ ოჯახში". ტაჯიკეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათშორისო". 22.45 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იჟევსკი". 17.50 — მხატვრული ფილმი „ლიუბაშა". 19.05 — განცხადებები.

სამშაბათი, 5 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — კინონარკვევი „სამკურნალო წყაროების მხარეში". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარი კონსტრუქტორი". პირველი ნაწილი. 11.35 — მხატვრული ფილმი „ცისფერი ელვა". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა. 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — განცხადებები. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩვენი მეგობარი „წერე-იკითხე". 17.50 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის — „გიორგი შატბერაშვილი". 18.20 — „კამერული მუსიკის ფესტივალზე". 19.05 — ათი ათასად ზრდილობა" (განმეორებით). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — მულტფილმი „ორმოცი ტყუილი". 20.50 — „პირველად ჩვენს ეკრანზე — ქართული მხატვრული ფილმი „ბახილი". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათშორისო". 22.45 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 17.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგიდან დონამდე". 18.00 — განცხადებები. 18.05 — მხატვრული ფილმი „სიტყვას ვითხოვ".

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარად ახალი ქალაქი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარი კონსტრუქტორი". მეორე ნაწილი. 11.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ბახილი". 12.50 — კინონარკვევი. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „ცვლა". 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები „მაცივარსა და თაგუნებზე" და „ფისუნია ვასიას ამბავი". 18.20 — გადაცემა „ირგვლივ მთებია, მთები. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო"—ტაშკენტის „ფახტაქორი". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს (19.45) „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.45 — „მოამბე". 21.15 ახალგაზრდობისათვის — „დელტაპლანი თბილისში". 21.45 — „ჩაი—82". 21.50 — „თბილისის საზონათშორისო". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — მხატვრული ფილმი „მიფრინავენ წეროები".

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელიწადის დრონი". 17.35 — განცხადებები. 17.40 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": 1. მულტფილმების პროგრამა და 2. მხატვრული ფილმი „ველური ძაღლი დინგო".

ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა თეთრი კოშკებისაკენ". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვინ მინდა ვიყო". 11.00 — „რიტმი, რიტმი, რიტმი"... დილის გასართობი პროგრამა. 11.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „პარასოლკა ცირკში". 11.45 — „დღეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეა" გადაცემაში მონაწილეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი (მ.). 12.15 — კონცერტი — „ჩემი სამშობლოს სიმღერები" (მ.). 12.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 12.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რას უძღვნი ადამიანებს". 13.15 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „ერთი ფილმის ისტორია" (განმეორებით). 13.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 14.00 — „ხალხური შემოქმედება" — ფოლკლორული საღამო თბილისის ლენინის სახელობის რაიონში. 15.10 — მხატვრული ფილმი „თავმჯდომარის ვაჟი". 16.35 — „პოეზიის ხუთი წუთი". 16.40 — მუსიკალური ფილმ-კონცერტი „გმადლობთ უამინდობისათვის". 17.35 — „ჯანმრთელობა" სატელევიზიო პროგრამა. 18.05 — „პოეზიის ხუთი წუთი". 18.10 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.40 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამარჯობა, მეზობელო!" 19.10 — გადაცემა „უფლება მაქვს, მოვალე ვარ". 19.30 — „მოამბე". 20.00 — სპორტული პროგრამა. 21.30 — „ხალხური შემოქმედება" — კონცერტი. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათშორისო". 22.45 — საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

პარასკევი, 8 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რთველი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „საესტრადო პანორამა" (განმეორებით). 11.50 — „მეტი საუკეთესო საქონელი" (მ.). 12.20 — მულტიპლიკაციური ფილმი „ხელმარჯვე ოსტატი გამოფენაზე". 12.30 — „ეკრანული სახეები" — ა. კალიაგინი. 13.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 14.00 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „ჩვენი სტუმარია მოლდავეთის ტელევიზია". 16.00 — „ჩვენი სოფელი" — სატელევიზიო პროგრამა. 16.30 — „ქართული მუსიკის მოამაგენი — „ოთარ ჩიჯავაძე (განმეორებით). 17.15 — პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „მცირე მიწა". 18.15 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „დებიუტი". 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „თევზი გულდორი". 18.50 — ახალგაზრდობისათვის — „მთავარი საზრუნავი". 19.15 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის" — „მეგობრობის გზებით". 20.00 — „მოამბე". 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათშორისო". 22.45 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე". მეორე სერია.

შაბათი, 9 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხევსურეთი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ცეროდენას ეკრანი". 13.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.40 — „მულტპანორამა". 14.55 — მოსწავლეთათვის — „წიგნი ჩემი მეგობარია". 15.25 — „ხალხური შემოქმედება", 15.50 — „ილუზიონი". 17.45 — „ვესტნიკი". 16.15 — „ხვალ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღეა" — სტუდიაშია საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. კ. მესიაცი (მ.). 18.35 — „კინოპანორამა". 19.00 — საერთაშორისო „პანორამა" (მ.). 19.45 — „ჩვენი ლაშქარი" — ნ. დუმბაძე. 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ზღაპრის გუდა". 20.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა". 21.00 — ა. გელმანი. „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი", რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. პირველი მოქმედება. 22.00 „ვრემია" (მ.). 22.35 — ა. გელმანი, „ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი". რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. მეორე მოქმედება.

კვირა, 10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი ოჯახი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე". პირველი და მეორე სერია. 13.30 — ბიოლოგიის ტელეკურსი. 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — განცხადებები. 17.35 — „ვერნისაჟი" — პ. ბიტსტრუპი (განმეორებით). 18.15 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს". 18.45 — „საერთაშორისო მიმოხილვა". 19.15 ახალგაზრდობისათვის „შეხვედრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებთან". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — გერმანული მხატვრული ფილმი „ბებიას შემდეგ მოსული ადამიანი". 21.55 — „ჩაი — 82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — „ქალაქური პანგები". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი სოფელი". 18.10 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 18.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწის მკურნალები". 18.55 — მოსწავლეთათვის — ხაზვა.

ჭადრაკი

თბილისის საზონათშორისო...

დაზავება ამჯობინა

ებრეთ წოდებული „ხელოვნური წილისყრის" თანახმად საბჭოთა მოჭადრაკეებმა ერთმანეთთან შეხვედრები ადრე უნდა დაასრულონ. ამიტომ გასაკვირი არ მოუციადეს გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, აზმილოვსკაიასა და მინოგინას წინადადება მისცეს დაესრულებინათ თავიანთი შეხვედრა. გაიმარჯვა აზმილოვსკაიამ. იმავე საღამოს აზმილოვსკაიამ მეათე ტურში ტიტორენკოსაც სძლია. შედეგად, სოჭელმა მოჭადრაკემ მკვეთრად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა.

მეათე ტურში არც ისე ხანგრძლივი, მაგრამ მძაფრი აღმოჩნდა გურიელის შეხვედრა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან მურეშანთან. დასაწყისში ქართველ დიდოსტატს უდავო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ საკმარისი გახდა მისი ოდნავი შეფერხება და ლიდერმა ხელსაყრელად განალაგა თავისი ძალები. ახლა უკვე მურეშანს შეეძლო მოგებაზე თამაში, მაგრამ ფიგურების დიდი ნაწილის გაცვლა და მდგომარეობის გამარტივება არჩია. წარმოქმნილ ლაზიერებისა და ეტლების ენდშპილში უკვე გურიელს ჰქონდა უკეთესი შესაძლებლობები, მაგრამ მან დაზავება ამჯობინა. ამ ყაიმმა მურეშანის მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა, გურიელმა კი ახლა მთელი იმედი უკანასკნელი პარტიების მოგებაზე უნდა დაამყაროს.

ლიუ შილანი, რომელსაც პირველი 5 ტურის შემდეგ სულ ორი ქულა ჰქონდა, ახლა პარტიას პარტიაზე იგებს და სამეულში გასვლის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა. ამ მოჭადრაკის მთავარი დამახასიათებელი თვისება უკიდურესი შეუპოვრობა გახლავთ. აუტსაიდერ სევერაიდთან, რომელსაც არც გამოცდილება აკლია და არც ცოდნა, მაგრამ როგორღაც არათანაბრად თამაშობს, ლიუ შილანმა კვლავ გამოიჩინა თავი. მართალია, პოზიცია დიდხანს მეტად მძიმე იყო, მაგრამ ლიუ შილანმა მარჯვედ გაიარა „ვიწრო ხიდზე" და საბოლოოდ დიდ მატერიალურ უპირატესობას მიაღწია. ეს ჩინელის მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ. ასეთი შედეგი ჯერჯერობით ამ ტურნირში არავის ჰქონია.

გუგენბერგერი აგრძელებს თავისი მეტოქეების ქულებით „მომარაგებას". ამჯერად იგი ფიშდიკთან დამარცხდა, კადილკარგარსიას შეხვედრაში მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. დასაწყისში ინდოელმა როგორღაც უზერხულად განალაგა თავისი ძალები. ამით ისარგებლა გარსიამ და უკეთესი ენდშპილი მიიღო. ეს უკეთესი დაბოლოება ჯერ მან მიიყვანა... უარესამდე, შემდეგ კი... ისევ გამოასწორა მდგომარეობა. პარტია გადაიდო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბოლო ტურებში ლევიტინა ენერგიის დაზოგვას ცდილობს, და პარტიის ტექნიკურ „ლიანდაგზე" გადაიყვანს ხოლმე. ასე მოხდა ნიკოლინთანაც, იუგოსლავს ამ საღამოს შეუპოვრობა არ აკლდა, მაგრამ მისი პოზიცია მაინც უარესია.

ვ. გამრეკელი.

● ●

გუშინ მეთერთმეტე ტურის პარტიები გაიმართა. ნიკოლინმა მოუგო კადილკარს. დაზავდნენ ვერეცი-პეტრონიჩი — ლევიტინა, შილანი — გურიელი, ფიშდიკი — სევერაიდი. სამი პარტია გადაიდო. 7 ქულით (10 შესაძლებლიდან) და 1 გადადებული პარტიით ლიდერია მურეშანი. 6,5-6,5 ქულა აქვთ ლევიტინას (1 გადადებული) და შილანს.

სოლო როლის დროც დადგება!

ხუთი საბჭოთა გუნდიდან მხოლოდ ორი განაგრძობს ასპარეზობას ევროპის საფეხბურთო ტურნირებში: კიევის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი". „კომუნისტის" მკითხველებმა უკვე იციან, რომ კიეველებმა ჩემპიონთა თასის განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩი შვეიცარიის „გრასჰოპერსთან" მოიგეს ანგარიშით 3:0 (პირველი შეხვედრაც კიეველთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0) და მერვედფინალურ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას. დამაჯერებელი და შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა „სპარტაკმა" ლონდონში ადგილობრივ „არსენალთან" — 5:2. „სპარტაკი" უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში გავიდა. ამავე შეჯიბრებას კი გამოეთიშნენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები. მოსკოველები მასპინძლობდნენ პოლონეთის „შლიონსკს" და დამარცხდნენ — 0:1 (პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2). ასეთივე ანგარიშით წააგეს მატჩი თბილისელებმა იტალიაში „ნაპოლისთან" (პირველი შეხვედრა თბილისის „დინამომ" მოიგო — 2:1). მოსკოვის „ტორპედო" თასების მფლობელთა თასის გათამაშების მიღმა დარჩა. ტორპედოელებმა მიუნხენში განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა „ბაიერნთან" ფრედ დაამთავრეს — 0:0 (ამ გუნდების პირველი შეხვედრაც ფრედ დასრულდა — 1:1).

აღსანიშნავია, რომ უეფას თასის გათამაშებას გამოეთიშნენ აგრეთვე ისეთი ცნობილი გუნდები, როგორებიც არიან „მანჩესტერ იუნაიტედი", „იფსვიჩი" და „საუთჰემპტონი" (სამივე — ინგლისი), ჩემპიონთა თასის გათამაშებას — ჰოლანდიის „აიაქსი".

ცხადია, ჩვენ ყველაზე მეტად გვატკინა გული თბილისის „დინამოს" მარცხმა. მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ „დინამომ" ამჯერად ვერ მოახერხა იერიშების სათანადოდ ორგანიზება. თბილისელებმა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში თამაშისას, მთავარი აქცენტი რატომღაც მხოლოდ დაცვაზე გადაიტანეს. თუ რა შედეგი მოჰყვა ამას, ტელევიზორით კიხილეთ. ერთგვარად ანგარიშგასაწევია ისიც, რომ თბილისის „დინამომ" საკმაოდ შეცვლილი შემადგენლობით ითამაშა, მათ შორის იყვნენ ისინიც, რომლებმაც ვერ მოასწრეს ადრე მიღებული ტრავმების მოშუშება. შეგახსენებთ „დინამოს" „ნეაპოლურ" შემადგენლობას: გაბელია, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (ჯოხაძე), ცავა (მესხი), შენგელია. ასეა თუ ისე, მატჩის 59-ე წუთზე დიასის დარტყმული ბურთი გაბელიამ, მართალია, მოიგერია, მაგრამ ამ მომენტში ყველას დაასწრო დალფიუმემ და თბილისელთა კარი აიღო. ამ ერთადერთმა ბურთმა ჩვენი დინამოელები უეფას ტურნირის მოწმეებად გადააქცია. გასადა რომ რომელიმე ევროპულ ტურნირს სოლისტების როლში მოვევლინოთ, საჭიროა წლევანდელ ჩემპიონატში აუცილებლად საპრიზო ადგილის დაკავება. ერთი სიტყვით, უკან დასახევი გზა ჩვენ თვითონ უნდა მოვჭრათ: სხვა რაღა გვეთქმის, წინ მოგველის საჩემპიონატო მატჩები, რომლებშიც წარმატების მოპოვება შექმნილი საჩოთირო მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთი ალტერნატივა გახლავთ.

ჯ. ენუქიძე.

● ●

იტალიური პრესის ექო

ნეაპოლის გაზეთმა „მატინომ" „ნაპოლის" თბილისის „დინამოსთან" გამარჯვებას „ისტორიული" უწოდა და შენიშნა, რომ ნეაპოლის გუნდმა პირველად მოიპოვა წარმატება საბჭოთა საკლუბო კოლექტივთან.

იტალიის ანსას სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დინამოელებმა პირველ ტაიმში და მეორის დასაწყისში თავისი გადამეტებული ფრთხილი ტაქტიკით დამარცხება მოიმკეს. გაზეთი „პაეზე სერა" წერს, რომ „გატანილი ბურთის შემდეგ თამაშმა უფრო საინტერესო ხასიათი მიიღო. ქართველმა ფეხბურთელებმა მანამდე ერთობ მოდუნებულებმა გაზარდეს თამაშის ტემპი და მეტოქის კართან სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. შემდეგ კი თამაში თანდათანობით გაუარესდა.. 81-ე წუთზე სტადიონი გაინაბა. ეს მაშინ, როცა ჩივაძის საჯარიმო დარტყმით ბურთი ბადეში აღმოჩნდა, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, ვინაიდან საჯარიმო შესრულდა მისი ნებართვის გარეშე"...

გაზეთ „კორიერე დელო სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში „ნაპოლის" მწვრთნელმა ჯაკომინიმ განაცხადა: „მსაჯის გადაწყვეტილება არ ჩაეთვალა ჩივაძის გოლი, სამართლიანია. „დინამოს" ფეხბურთელებმა არბიტრს სთხოვეს ჩვენი „კედლის" უკან დახევა შესაბამის დისტანციაზე. ამრიგად, არსებული საერთაშორისო წესების თანახმად, ჩივაძეს დარტყმის უფლება არ ჰქონდა, სანამ მსაჯი ნიშანს არ მისცემდა"...

განსხვავებული აზრი გამოთქვა მასპინძელთა მცველმა ჩელესტინიმ, რომელიც ამ დროს შექმნილი ვითარების უშუალო მონაწილე იყო: „არბიტრმა სასტვენით ორჯერ მისცა ნიშანი. პირველად, როცა მან ჩივაძეს დარტყმის უფლება მისცა. მაგრამ იმწამსვე მისი მეორე ნიშანი გაისმა იმის გამო, რომ მე ძალიან დავუახლოვდი საბჭოთა ფეხბურთელს. ამას ჩივაძემ ყური არ ათხოვა და დაარტყა..."

მოკლედ

ხელბურთი. ჩელიაბინსკში მიმდინარე ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურის მეხუთე დღეს თბილისის „ქარიშხალა" (სპი) შეხვდა კიევის არმიელთა გუნდს. გაიმარჯვეს კიეველებმა — 31:21.

უკანასკნელ საათს!

გამარჯვება სტარტზე

გუშინ თბილისსა და კუიბიშევში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საიუბილეო — ორმოცდამეათე საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის „დინამომ" დაამარცხა კიევის არმიელთა გუნდი ანგარიშით 88:87.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 4 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები 6.38 — ჩვენი-მთა ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა". 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.15 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 11.15 — „აღვუზარდოთ მამულსა შვილი". საუბარი „ფული და მოზარდი". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — „ნენტავი, გოგო, მე და შენ". ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ი. ნონეშვილის ლექსები. 12.30 — პ. ჩაიკოვსკი. საფორტეპიანო პიესა „ზმანებანი". 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.45 — ქართული ეკრანის მელოდიები. 13.30 — მიკროფონთანაა ანსამბლი „ორიონი". 14.00 — („ლიტერატურული კითხვა". ქ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ-60", კონცერტი. ფ. ამიროვის ნაწარმოებები. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. საყმაწვილო ოპერა „ციცქნა იას დღეობა". 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „თესლბრუნვის ნაყოფი", საუბარი. 19.15 — მღერის წალენჯიხის ვეტერანთა ანსამბლი „ლაკადა". 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.). 20.30 — ბ. ტარტაკოვსკი, „ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა", რადიოდადგმა. მესამე და მეოთხე ნაწილი. 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 5 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — „სსრკ-60". ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნაბიევის გამოსვლა (მ.). 10.15 — „შევიცან ძალა მეგობრობისა". ტაჯიკეთის რადიოს ლიტერატურული გადაცემა. 11.15 — „ანგარიშგება-არჩევნები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში". რეპორტაჟი. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ნ. ბარათაშვილის ლექსები. 12.30 — ი. ბიბოხიძე. სიმღერები. 12.40 — „ყველა მერიდიანზე — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი". 13.30 — მღერის მახარაძის კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლი „ელესა". 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ქ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ცელო, მოუსვი ბალახსა". ქართული ხალხური შრომის სიმღერები. 17.30 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თქმულება ქართულ ანბანზე". პირველი ნაწილი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური განვითარება". საუბარი. 19.20 — ეკრანის მელოდიები. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — „სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები". (მ.). 20.30 — ახალგაზრდობისათვის. „ზნეობრიობა და ქართული მწერლობა". გ. ასათიანი, „სათავეებთან". 20.50 — ქართველ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები. 21.00 — ძალისპირული. 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე". 22.00 — „ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილები". 23.30 — კონცერტის „გახსენება". მღერის ვოკალური ტრიო მ. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მღერის რუსთავის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. 11.15 — „პარტიული ცხოვრება". რეპორტაჟი „ცოდნა, რომელიც რწმენად იქცევა". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30 — ი. სოხაძის კონცერტი. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ქ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ-60" დ. შოსტაკოვიჩი. კონცერტი საფორტეპიანო დუეტისათვის და მესამე სიმებიანი კვარტეტი. 17.00 — თბილისის ახალი ამბები. 17.15 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემაზე. 17.30 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თქმულება ქართულ ანბანზე". მეორე ნაწილი. 18.00 — „ჩვენი დიადი ქარტია", პუბლიცისტური საუბარი. 18.15 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — ტაშკენტის „ფახტაქორი". შესვენებისას — 19.45 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 20.45 — ქართული საოპერო მუსიკა. 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ოდესის „ჩერნომორეცი" — ქუთაისის „ტორპედო". მეორე ტაიმი. 21.45 — ახალგაზრდობისათვის, რადიოკომპოზიცია „ჩვენი კონსტიტუცია". 22.00 — ს. ანტონოვი. „სახელმწიფო ლერბი". რადიოდადგმა. 23.30 — „მრავალჟამიერ". ქართული ხალხური სიმღერები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 8.00 — „ერთიან ძმურ ოჯახში". კონცერტი. 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „უფლება და მოვალეობა განუყოფელია". პუბლიცისტური საუბარი; 11.30 — „სსრკ-60". ო. თაქთაქიშვილი". „საგრო ჰიმნები", ესტონეთის ვაჟთა სახელმწიფო აკადემიური კაპელას შესრულებით. 12.00 — „სსრ კავშირის ძირითადი კანონი" (მ.). 12.30 — „ვრცელია ჩვენი ქვეყანა". საბჭოთა პოეტების ლექსები. 12.45 — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის როკ-ანსამბლის კონცერტი. 13.30 — ქართული ეკრანის მელოდიები. 14.00 — „ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია". პუბლიცისტური საუბარი. 14.15 — „გულს ემღერება". მუსიკალური ნარკვევი. 15.00 — პოპულარული ქართული მუსიკის კონცერტი. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მღერის აფხაზეთის ხანდაზმულთა ეთნოგრაფიული დამსახურებული ანსამბლი „ნართაა". 17.30 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თქმულება ქართულ ანბანზე". მესამე ნაწილი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „სსრკ-60". ა. ტოლსტოი, საბჭოური ხასიათი". რადიოდადგმა. 19.33 — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი". კონცერტი. 20.30 — „მარადიული ძმობის ქალაქო!" ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები თბილისზე. 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — ტალინის „კალევი". 21.30 — „ჩვენი მუსიკალური ნობათები რესპუბლიკის მშრომელებს". კონცერტი. 23.30 — „მეგობრობის მერიდიანებზე". კონცერტი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

პარასკევი, 8 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 7.40 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 11.15 — „პიონერთა დაფიონი" (მ.). 11.35 — „მუსიკალური რადიოაფიშა". 12.15 — ახალგაზრდობისათვის", „ავანთოთ შუქი ჩვენ — ჩვენი ხვედრი" — შეხვედრა გ. აბაშიძესთან. პირველი გადაცემა. 12.50 — სიმღერები გ. აბაშიძის ლექსებზე. 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი". 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „გვწერენ ვეტერანები" (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის, რადიოდადგმა „თქმულება ქართულ ანბანზე". ნაწილი მეოთხე. 17.45 — მღერის თ. ცაგურია. 18.15 — რადიოსადგურ „იუნოსტის" პროგრამა (მ.). 19.00 — „კინოფილმი უეკრანოდ". 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — ა. ბოროდინის ოპერა „თავადი იგორის" ნაწყვეტები. 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.00 — „ა. ადამია, „სოფელი ხმალალი". რადიოდადგმა. 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა". 23.30 — მღერის რ. ტებალდი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

შაბათი, 9 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მ. და ა. ჩიხლაძეების კონცერტი. 11.10 — ახალგაზრდობისათვის. ჩვენი ლაშქარი". რადიონარკვევი „ცხოვრობდე, რომ ქმნიდე". 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია. 12.00 — ახალგაზრდობისათვის, „ავანთოთ შუქი ჩვენ — ჩვენი ხვედრი" — შეხვედრა გ. აბაშიძესთან. მეორე გადაცემა. 12.35 — კონცერტი. ს. ცინცაძის ნაწარმოებები. 13.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 14.00 — ბ. ტარტაკოვსკი, „ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა". რადიოდადგმა. მეხუთე ნაწილი. 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.50 — მღერის გ. რატიანის ოჯახი. 17.00 — მსოფლიოს ერთი კვირის ამბები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თქმულება ქართულ ანბანზე". მეხუთე ნაწილი. 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „რესპუბლიკის პლანტაციებსა და ზვრებში". 19.10 — „მოჭირნახულეც, დიდება შენდა". კონცერტი სოფლის მშრომელთათვის. 20.30 — ჩვენი იშვიათი ჩანაწერები — პ. კობახიძე. 21.00 — „ძილისპირული". 21.10 — რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად. 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „მთა მწვერვალზე — ჩემთვის". 22.00 — „საღამო მშვიდობისა". მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.30 — მღერიან თეატრისა და კინოს მსახიობები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კვირა, 10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — „ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 „სოფლის დილა". 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.15 — „პიკის საათი", საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 11.10 — „ანგარიშგება-არჩევნები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში". რეპორტაჟი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ფონოჭალის თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი. 12.30 — „სსრკ-60" რადიოფილმი „ექსპერიმენტი". 13.30 — გ. ყანჩელი. სიმღერები. 14.00 — „სსრკ-60". „ახალგაზრდა საბჭოთა კომპოზიტორების კამერული მუსიკის ფესტივალზე" მიმოხილვა. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის, რადიოდადგმა „პაველ კორჩაგინი". პირველი ნაწილი. 18.10 — მელოდია, რიტმი განწყობილება. 19.00 — „მეტი პროდუქცია უნარჩენოდ". კორესპონდენტის ნაამბობი. 19.15 — ქალაქური პანგები. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — ახალგაზრდობისათვის. „ტრადიცია და თანამედროვეობა." პუბლიცისტური საუბარი" გავუფრთხილდეთ ნამდვილ ტრადიციას". 20.30 — რ. ლაღიძე. ოპერა „ლელა". 22.30 — ეკრანის მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელეეკრანი

1 ოქტომბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მულტფილმები. 10.20 — „ფილმ-კონცერტი „აი ისევ სარკმელი". 11.20 — უკრავს ბ. ფეოქტისტოვი (ბალალაიკა). 12.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „ნიგერიაში". კინოპროგრამა. 16.05 ბავშვთა გუნდის კონცერტი. 16.35 — მოსკოვის კომკავშირის საქმენი. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „პურის ყანის სიმღერა". 17.20 — საბჭოური პეიზაჟური ფერწერა 20-30-იან წლებში. 17.50 — ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის 60 წლისთავისა და რუსეთის შემადგენლობაში ჩეჩნეთ-ინგუშეთის შესვლის 200 წლისთავისათვის. დოკუმენტური ტელეფილმი. 18.30 — ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 19.15 — გმირობა სტალინგრადის ბრძოლის 40 წლისთავის გამო. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.20 — „ობიექტივი სამყაროში იყურება". 21.25 — მუსიკალური პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — იტალიური მხატვრული ტელეფილმი „ობერვალდის საიდუმლოება". 00.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. მერვე კლასი. 10.05 და 13.05 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. მეხუთე კლასი. 12.05 — ა. პროკოფიევის პოეზია. 13.10 — ეკრანი — მასწავლებელს. ისტორია. მეოთხე კლასი. 14.05 — ლენინიზმის ეპოქის ხელოვნება. 14.35 — ვარსკვლავთმრიცხველი. ტელეჟურნალი. 15.20 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო". მე-2 ფილმი — „მოსკოვის ბრძოლა". 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.00 — ფეხბურთი. პირველი ლიგა. „ნისტრუ" — „ზარია": მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია" — 22.35 — ა. აფინოგენოვი — „მაშენკა". ტელესპექტაკლი.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფურებსაც შემოდგომაზე ითვლიან". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მოძრაობა" და „მონოლოგი სიყვარულზე". 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი — (სტუდიაშია დოცენტი რ. ენუქაშვილი). 16.55 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": მხატვრული ფილმი „და შენ იხილავ ზეცას". 18.05 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება". 18.50 — ახალგაზრდობისათვის — „ახალგაზრდა კომპოზიტორთა კამერული მუსიკის ფესტივალის დღიური". 19.30 — „მოამბე". 20.00 — სპორტული პროგრამა. 21.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 21.55 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „თბილისის საზონათშორისო". 22.45 — მხატვრული ფილმი „შევეწყობით ერთმანეთს ძვირფასო". 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჟღერს ქვის ჰარმონია". 17.50 — მასწავლებლის საათი — ქიმია. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტყის პატრონი". 19.10 — განცხადებები. 19.15 — მხატვრული ფილმი „საკუთარი აზრი".

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი (30-ე აბონ. მე-7 წარმოდ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ოტელო.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ფეხბურთი

თბილისის „დინამო" — ალმა-ათის „ყაირათი"

2 ოქტომბერს — სათადარიგო შემადგენლობა. დასაწყისი — 18 საათზე.

3 ოქტომბერს — ძირითადი შემადგენლობა. დასაწყისი — 19 საათზე.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 1 ოქტომბერს 10 საათიდან.

ბილეთების საერთო გაყიდვა — 2, 3 ოქტომბერს სტადიონის სალაროებში 12 საათიდან.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 , უე 09434 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20